ქალაქ თბილისის საკრებულოს
სატრანსპორტო საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი №17

13 სექტემბერი, 2018 თბილისი,თავისუფლების მოედანი N2
13:00 საათი

<u>სხდომას ესწრებოდნენ:</u>

1. თედო ისაკაძე - კომისიის თავმჯდომარე;
2. შალვა ოგბაიძე - კომისიის წევრი;
3. გიორგი ახვლედიანი - კომისიის წევრი;
4. ილია ჯიშკარიანი - კომისიის წევრი;
5. მიხეილ ამაშუკელი - კომისიის წევრი;
6. დავით უჯმაჯურიძე - კომისიის წევრი.

სხდომის დღის წესრიგი:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის 2018 წლის 6 თვის საქმიანობის ანგარიშის მოსმენა.

კომისიის სხდომა ჩაითვალა უფლებამოსილად და შეუდგა მუშაობას დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის შესაბამისად.

მომხსენებელი:

- **მამუკა მუმლაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსი.

სხდომის თავმჯდომარემ გახსნა სხდომა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

სხდომას თავმჯდომარეობდა - **თედო ისაკაძე.**

თ.ისაკაძე - დღეს მოვისმენთ თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის 2018 წლის 6 თვის საქმიანობის ანგარიშს. მნიშვნელოვანია, რომ მივიღოთ ამომწურავი ინფორმაცია საანგარიშო პერიოდში სამსახურის მიერ განხორციელებული ღონისძიებების შესახებ.

მ.მუმლაძე - წარმოგიდგენთ, 2018 წლის 6 თვის (იანვარი - ივნისი) ანგარიშს პრეზენტაციის სახით. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი პროექტები:

- საგზაო მოძრაობის ორგანიზების ტექნიკური საშუალებების მოვლა, შენახვა და ექსპლუატაცია - 750 000 ლარი;
- ერთკომპონენტიანი საღებავით გზების დახაზვა - 818 000 ლარი;
- თერმო და ცივი პლასტით გზების დახაზვა - 880 000 ლარი;
- სიჩქარის იძულებითი შემცირების ბორცვების შესყიდვა და მონტაჟი - 300 000 ლარი;

- ახალი შუქნიშნების მონტაჟი, ძველის რეკონსტრუქცია და მართვის ცენტრთან მიერთება - 750 000 ლარი;
- შუქნიშნების მოვლა, შენახვა და ექსპლუატაცია - 653 000 ლარი;
- სიჩქარის მიმართულების წინასწარი მაჩვენებლების მონტაჟი - 316 000 ლარი;
- ახალი მოსაცდელების მონტაჟი (80 ც) - 289 000 ლარი;
- „სისტრას" საკონსულტაციო მომსახურება - 1 114 000 ლარი;
- კონტროლისა და მართვის ცენტრში ვიდეო კედლის დაზიანებული ნაწილების აღდგენა - 159 000 ლარი;
- საგზაო მოძრაობის ორგანიზების ტექნიკური საშუალებების საზომი და საკონტროლო ხელსაწყოების შეძენა - 104000 ლარი;
- იუსტიციის სახლი-ტაქსებზე ნებართვების გაცემის მომსახურება - 150 000 ლარი;
- დამუშავდა ტაქსებზე ნებართვის გაცემის წესი. კერძოდ, სამსახურში შემუშავდა და დედაქალაქის საკრებულოს განსახილველად წარედგინა დადგენილების პროექტი ტაქსებით (M1 კატეგორია), გადაყვანის სანებართვო პირობებსა და ნებართვის გაცემის წესის შესახებ. 1 აგვისტოდან 1 ოქტომბრის ჩათვლით შესაძლებელია ტაქსით მომსახურებაზე ნებართვის აღება. რეგისტრაცია შესაძლებელია სახლიდან გაუსვლელად, ვეგ-გვერდის, www.taxi.tbilisi.gov.ge-ს მეშვეობით ასევე, გამგეობებსა და იუსტიციის სახლში. ტაქსებიო მომსახურების სფეროს რეგულირების რეფორმაზე მუშაობა გრძელდება.
- სხვადასხვა მისამართზე დამონტაჟდა: საგზაო ნიშნები (870 ცალი), ნიშნის დგარი (382 ცალი), სარკე (17 ცალი), ბოწკინტი (196 ცალი), წრფივი შუქდამბრუნებელი (994 ცალი), ბორცვი (1799გრძ.მ).
- ერთკომპონენტიანი საღებავით დახაზვითი სამუშაოები შესრულდა 24 ქუჩაზე - 50 056 კვ.მ. ორფეროვანი ცივი პლასტით დაიხაზა 12 ქუჩის 26 ლოკაცია, სამუშაოები სრულდება 3 წლიანი გარანტიით. 2018 წლის ბოლომდე გეგმაშია 12 000 კვ.მ ცივი და 9 000 კვ.მ თერმო პლასტით დახაზვა.
- შუქნიშნები და მართვის ცენტრი - შეიცვალა შუქნიშნის 50 მოდული, დაზიანება აღმოიფხვრა 63 ობიექტზე, დამონტაჟდა 42 შუქნიშანი, დამონტაჟდა 2 მოთხოვნითი, ღილაკიანი შუქნიშანი, მზის ენერგიაზე მომუშავე 5 შუქნიშანი, რეაბილიტაცია ჩაუტარდა მართვის ცენტრში დაზიანებულ ვიდეო კედელს, რეჟიმები გამოკვლეულია 20 ობიექტსა და 26 გზაჯვარედინზე.
- ახალი მარშუტები - დედაქალაქს დაემატა 9 ახალი მარშუტი, დაგრძელდა 15 მარშუტი, ავტობუსები დაემატა 12 მარშუტს.
- საგზაო მოძრაობის ორგანიზება - შეთანხმდა მოძრაობის ორგანიზების - 730 სქემა, ინფრასტრუქტურის საქალაქო სამსახურს გადაეცა გზის კვანძების რეორგანიზაციის - 21რეკომენდაცია, დედაქალაქის მასშტაბით 6-ჯერ ჩატარდა საგზაო მოძრაობის ორგანიზების ტექნიკური საშუალებების შემოწმება, მათ შორის მარტში, თბილისის საკრებულოს წევრების მონაწილეობით. საგზაო მოძაობის ორგანიზება შეიცვალა ქუთათელისა და იოსებიძის ქუჩებზე, ცალმხრივი მოძრაობა დაწესდა იონა ვაკელისა და ოთარ ჭილაძის ქუჩებზე, სამსახურისა და „მოტმაკდონალდსის"

- ექსპერტებმა დაამუშავეს კოსტავასა და შარტავას ქუჩების ახალი სატრანსპორტო სქემა.

- პოლიტიკა და დაგეგმვა - ტრანსპორტის საქალაქო სამსახურში შეიქმნა პოლიტიკის დეპარტამენტი, რომელიც აქტიურ რეჟიმში მუშაობს. შემოსული წერილები სამშენებლო ნებართვებთან დაკავშირებით -239. ტრანსპორტზე ზემოქმედების შეფასება (კვლევა) – 42, ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურიდან-117, არქიტექტურის სამსახური-25, სხვა-55.

- პარკირება - გაუქმდა ხელშეკრულება „სიტი პარკთან", პარკირების ოპერირება „თბილისის პარკინგ"- ს გადაეცა, გაცემულია შშმ პირებზე 186 საცნობი ნიშანი, გაცემულია ელექტრომობილებზე 46 პარკირების ნიშანი (სულ: 280), მიმდინარეობს მუშაობა თბილისის პარკირების რეფორმაზე ახალ სისტემაზე ზონალური პარკირების პრინციპით.

შ.ოგბაიძე - მადლობა საქალაქო სამსახურს გაწეული საქმიანობისთვის. რამდენიმე საკითხს შევეხები: აუცილებელია უახლოეს მომავალში ახალმა ავტობუსებმა იმოძრაონ დედაქალაქში, რაც უამრავ პრობლემას მოაგვარებს. ასევე, გაჩერებებზე უნდა დამონტაჟდეს მოსაცდელები. აუცილებელია საცხოვრებელი ზონის შესასვლელთან და გასასვლელთან სპეციალური ნიშნების დამონტაჟება, რათა მძღოლებს ჰქონდეთ გარკვეული აკრძალვა სიჩქარესთან და მიმართულებასთან დაკავშირებით. ასევე, ყველა სკოლის წინ სასწრაფო წესით უნდა დაიხაზოს ზებრა გადასასვლელები. ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებები გასატარებელია ჩემს სამაჟორიტარო ოლქშიც.

მ.მუმლაძე - ავტობუსები სრულად და ეტაპობრივად ჩანაცვლდება 2019 წლის ბოლომდე. რაც შეეხება მოსაცდელების მონტაჟს, კონტრაქტორი კომპანიის მიერ წლის ბოლომდე იგეგმება 80 ახალი მოსაცდელის განთავსება. იმ შემთხვევაში, თუ მათი მხრიდან ვალდებულება არ შესრულდება ჯეროვნად და დათქმულ ვადებში, სამსახური მიიღებს შესაბამის ზომებს. რაც შეეხება ზებრა გადასასვლებებს, ვგეგმავთ სპეციალური ტექნიკისა და საღებავების შესყიდვას, რომ მუნიციპალიტეტმა საკუთარი რესურსით განახორციელოს დახაზვითი სამუშაოები.

თ.ისაკაძე - მადლობა წარმოდგენილი პრეზენტაციისთვის და თქვენს მიერ გაწეული საქმიანობისთვის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის ეფექტური და პროდუქტიული საქმიანობა ძალიან მნიშვნელოვანია დედაქალაქისათვის.

- კომისიის წევრებმა ცნობად მიიღეს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის 2018 წლის 6 თვის საქმიანობის ანგარიში.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის

თავმჯდომარე **თედო ისაკაძე**